საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№06-2/20 „27“ იანვარი 2020 წ.

მოქალაქე ბორის ხატიაშვილს.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №5-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის გავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №5-ში, მოქალაქე ბორის ხატიაშვილს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.34.003.045) დაგეგმილი აქვს სარდაფის მქონე ცხრა სართულიანი, მრავალბინიანი კორპუსის მშენებლობა. შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, გაბარიტული ზომებით ℓ×b=27.00×16.60 მ. შენობის სართულიანობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ერთი სარდაფის სართული სიმაღლით h=310 სმ.
- რვა მიწისზედა სართული სიმაღლით h=310 სმ.

საპროექტო შენობის ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.19.34.003.080, მასზე განთავსებულია ორი შენობა (პირობითად შენობა №1 და №2, იხილეთ თანდართული გეგმა და ფოტო სურათები). შენობა №1 ერთ სართულიანია, გეგმაში მართკუთხა მოხაზულობის მქონე, რომლის გაბარიტული ზომებია LxB=19.60x18x55 მ. შენობა №1-დან საპროექტო შენობამდე მანძილი სინათლეში შეადგენს 10.23 მ.-ს. ვიზუალური დათვალიერების შედეგად არსებულ შენობას აღენიშნება მრავლობითი სახით დაზიანებები და ბზარები, იგი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სეისმომედეგი მშენებლობის ნორმების მოთხოვნებს. შენობა №2 წარმოადგენს მცირე დამხმარე ტიპის შენობა-ნაგებობას, რომელიც გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა და საპროექტო შენობიდან დაცილებულია 7.0 მ.-ით. აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ნაკვეთები საკადასტრო კოდით №01.19.34.003.202 და №01.19.34.003.203 (შენობა №3. იხილეთ თანდართული გეგმა). შენობა №3 წარმოადგენს ასევე მცირე ტიპის

დამხმარე შენობა-ნაგებობას, რომელიც გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა და საპროექტო შენობიდან დაცილებულია 9.45 მ.-ით. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება გრუნტის გზა, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან არაფუნქცირებადი სარკინიგზო ლიანდაგი.



შენობა №1



შენობა №2 და შენობა №1

დასკვნა:

ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №5-ში ფიზიკურ პირს მოქალაქე ბორის ხატიაშვილს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.34.003.045) დაგეგმილი აქვს ააშენოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სარდაფის მქონე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი. სარდაფის მოსაწყობად საჭიროა ქვაბულის დამუშავება. იმისათვის, რომ დაცული იყოს მომიჯნავე ნაკვეთებზე არსებული საცხოვრებელი შენობები, „1“ და „5“ ღერძების გასწვრივ საჭიროა მოეწყოს ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯები, დიამეტრით 15 სმ; რომელთა ცენტრებს შორის მანძილი ტოლი იქნება 80 სმ. ხიმინჯების თავები გაერთიანდება მონოლითური რკინაბეტონის კოჭით, რომელიც უზრუნველყოფს ხიმინჯების ერთდროულ მუშაობას. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება დაიცავს მომიჯნავე შენობა-ნაგებობებს დაზიანებისაგან და უარყოფითი ზემოქმედებისაგან, როგორც მშენებლობის, ასევე მისი ექსპლოატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. საჭირო ნაბურღ-ინექციური ხიმინჯების განლაგების გეგმა თან ერთვის ტექნიკურ დასკვნას.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/

ტელეფონის ნომერი: +995 599 15 66 49
ელექტრონული ფოსტა: Ltdmonoliti@gmail.com

01.19.34.003.045

ნაბურღ-ინექციური ხიმინჯების მოწყობის სქემა

შენობა №1
არსებული

შენობა №3
არსებული

საპროექტო შენობა

შენობა №2
არსებული


01.19.34.003.080

01.19.34.003.203


01.19.34.003.202

19604
10231
18558
7011
9455
26600
6900
5300
6800
7600
500
6100
4000
3500
2600
16200
800
1
2
3
4
5
ბ
ა
დ


კვეთი 1-1
მ. 1:25




კვეთი 2-2
მ. 1:5



მონოლითური კოჭი
მ. 1:10



პოზ. №	ესკიზი	L
3		1200